

ეროვნული სტერეოტიპული წარმოდგენები კულტურათაშორის ურთიერთობებში

კაპატაძე ნაზიბროლა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა
(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა თევზაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაზიბროლა კაპატაძე

23.06.2022

აბსტრაქტი

ერთი კულტურის წარმომადგენელთა მიერ სხვა კულტურის წარმომადგენელთა ვერბალური თუ არავერბალური ქცევის ინტერპრეტაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ სტერეოტიპურ ხატებზე, რომლებიც ორი კულტურის წარმომადგენლებს აქვთ ერთმანეთის მიმართ. ესენია წარმოდგენები ცხოვრების წესის, ჩვეულებების, ტრადიციების, ანუ ამა თუ იმ ხალხის ეთნოკულტურულ თავისებურებათა სისტემის შესახებ.

ნაშრომში მიმოვიხილეთ ეროვნული სტერეოტიპების ფორმირების წყაროების, მათი აღქმისა და გაგების, ასევე კულტურათაშორის კომუნიკაციაში მათი გამოყენების ძირითადი სფეროებისა და მნიშვნელობის საკითხები, სტერეოტიპების კავშირი ფონურ ცოდნასა და პრეცედენტულ ფენომენებთან. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა ქართველ ახალგაზრდებში ეროვნული სტერეოტიპული წარმოდგენების სურათის შესაქმნელად.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: ეროვნული სტერეოტიპი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, პრეცედენტულობა, ფონური ცოდნა.

Abstract

Responsibility for the process of interpreting nonverbal behavior through the verbal participation of representatives of one culture from another depends on the stereotypical icons that are directed towards the two cultures. These are ideas about the way of life, customs, traditions, or the system of ethnocultural features of this or that people. In the paper, see the sources of the formation of national stereotypes, their perception and understanding, as well as the main areas and issues of their use in intercultural communication, the connection of stereotypes with background knowledge and precedent phenomena. Within the framework of our question, we conducted a survey with a picture of the national stereotypical representations of Georgian adolescents.

Keywords: national stereotype, intercultural communication, precedent, background knowledge.

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ მაია თევზაძეს, რომლის ლექციები, აკადემიური თუ ადამიანური რჩევა-რეკომენდაციები სამაგისტრო კურსის მანძილზე ყოველთვის გამოირჩეოდა. ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც მუშაობის პროცესში სისტემატიურად მამხნევებდნენ, გვერდში მედგნენ და მხარს მიჭერდნენ.